

თანხმოვანთმონაცვლეობისათვის შიდაქართლურში

ავტორი მარიამ კობერიძე

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი (საქართველო),
ფილოლოგიის დოქტორი, პროფესორი
ელფოსტა maikoberidze@gmail.com

ანოტაცია

წინამდებარე სტატიაში გაანალიზებულია თანხმოვანთმონაცვლეობის შემთხვევები შიდაქართლურში. ქრონოლოგიურად დროსა და სივრცეში დაშორებული ენობრივი პროცესების წარმოსაჩენად კვლევა ემყარება ქართველ ენათმეცნიერთა მიერ (არ. მარტიროსოვი, გრ. იმნაიშვილი, ალ. ლლონტი ...) სხვადასხვა დროს ჩაწერილ და გამოქვეყნებულ დიალექტურ ტექსტებსა და ჩვენ მიერ შეკრებილ უახლეს მასალას. დამუშავებულია მსგავსი და განსხვავებული ფორმები ქართულ სალიტერატურო ენასა და სხვა დიალექტებთან მიმართებით.

თანხმოვანთმონაცვლეობა საკმაოდ გავრცელებული მოვლენაა შიდაქართლურში. ერთმანეთს ენაცვლებიან უმთავრესად წარმოების ადგილისა თუ რაგვარობის მიხედვით ახლოდებელი თანხმოვანი ბგერები სახელებში, ზმნებში, ზმნისართებში, თანდებულებში, კავშირებსა და ნაწილაკებში. ძირითადად მონაცვლეობენ აკუსტიკურად ერთი რიგის ბგერები (ვ>მ: თომლი; მ>ვ: სიმავრი; ვ>ზ: საბარცხელი; ზ>ვ: ახლოველი; ფ>ზ:ორშაფათი; დ>ტ: ამტელა; მ>ნ: საზანთრო.....).

თავისებურებით გამოირჩევა სოფელ დირბის მეტყველება, სადაც დასტურდება სხვა რიგის ბგერების მონაცვლეობაც. ნ ბგერა გვაქვს იქ, სადაც ვ ბგერა არის მოსალოდნელი (ავ>ამ>ან: ყანს, ხედანს; ევ>ემ>ენ: წენს; ოვ>ომ>ონ: წონდა...).

ხეობებისა და სოფლების მიხედვით მეტნაკლებად შეინიშნება განსხვავებული ფორმებიც. თანხმოვანთმონაცვლეობის ესა თუ ის სახეობა, რომელიც დასტურდება ქართლის ერთ კუთხეში, შეიძლება არ იყოს სხვა მხარეში ან მეტად იშვიათობას წარმოადგენდეს. კვლევამ აჩვენა, რომ ნ ბგერის მონაცვლეობა უფრო გავრცელებულია ფრონის ხეობის სოფლებში: დირბი, დვანი, ტახტისძირი, ზრეთი, სალოლაშენი, არადეთი.

შიდაქართლურში დადასტურებული ბგერათმონაცვლეობის შემთხვევები მსგავსია ქართული სალიტერატურო ენისა და სხვა დიალექტებისა.

საკვანძო სიტყვები: ქართული სალიტერატურო ენა; შიდაქართლური კილოკავი; თანხმოვანთმონაცვლება; ფონეტიკური ცვლილება.

შესავალი

შიდაქართლური კილოკავისათვის დამახასიათებელია ქართლურის ძირითადი ენობრივი მოვლენები, თუმცა მეტყველების თავისებურებები შეინიშნება ხეობებისა (ფრონის, დიდი და პატარა ლიახვის, ძამის, კავთურას, ლეხურას, ატენისა და წედისის..) და სოფლების მიხედვით, რაც განპირობებულია ენის შინაგანი პოტენციის გამოვლენით, მოსახლეობის მიგრაციით, უნიფიკაციის ტენდენციითა და სხვა კილოების წარმომადგენლებთან ურთიერთობით.

ფრონის ხეობის მეტყველებაში დასტურდება მესხურ-ჯავახური და იმერული მეტყველების შერევის შემთხვევები, ატენისა და წედისის ხეობის მეტყველებაში - მთიულურის, ხოლო წითელუბნის, ნაწრეტისა და შავშვების მეტყველებაში კი - აჭარულისათვის დამახასიათებელი ენობრივი მოვლენები. ქართლური დიალექტის თავისებურებები უფრო დაცულია დიდი და პატარა ლიახვის ხეობების მეტყველებაში, მაგრამ 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, ამ ხეობებიდანაც დაიწყო მიგრაციის პროცესი ქართლის სხვადასხვა კუთხეში, რომელიც სამომავლოდ გავლენას მოახდენს საზღვრისპირას მცხოვრებთა მეტყველებაზე.

სხვადასხვა დროს ჩაწერილი და გამოქვეყნებული დიალექტური ტექსტები და ჩვენ მიერ შეკრებილი უახლესი მასალა იძლევა საშუალებას ქრონოლოგიურად დროსა და სივრცეში დაშორებული თანხმომონაცვლეობასთან დაკავშირებული პროცესები წარმოვაჩინოთ დღევანდელობასთან მიმართებაში.

ძირითადი ნაწილი

ქართულ სალიტერატურო ენასა და დიალექტებში საკმაოდ გავრცელებული მოვლენაა სიტყვის ერთსა და იმავე ფორმაში ერთი ბგერის შეცვლა სხვა ბგერით ყოველგვარი ფონეტიკური განპირობებულობის გარეშე. ამ პროცესის აღმნიშვნელად ქართველურ ენათმეცნიერებაში დასტურდება ტერმინები: „სუბსტიტუცია“, „ბგერათმენაცვლება“, „სპონტანური ანუ თვითნებური ბგერათცვლილება“, „შეუპირობებელი, სპონტანურ ბგერათცვლილება“, „ბგერათმონაცვლეობა“ (შანიძე 1980: 22; ახვლედიანი 1999: 228, 229; ნებიერიძე 1991: 118).

ერთადერთი „კანონზომიერება“ რომელსაც ადგილი აქვს ასეთ ბგერათცვლაში, მდგომარეობს იმაში, რომ ერთმანეთის შეცვლა შეუძლიათ მხოლოდ ისეთ ბგერებს, რომლებიც ერთმანეთს წააგვანან აკუსტიკურად (ახვლედიანი 1999: 228, 229).

ბგერათმენაცვლების ორი სახე გვაქვს: 1. ჩანაცვლება უცხოური ენიდან ნასესხებ სიტყვაში. მაგ., უცხოური ქ –ს ნაცვლად ფ-ს წარმოთქმა ქართულში: ციფრი - цифра; აფიცერი - офицер. ამის მიზეზია ქ –ს უქონლობა ქართულში. უცხოურ ქ –სთან ქართველის სმენისათვის ყველაზე ახლოა ქართ. ფ - არტიკულაციურადაც (ორივე ბაგისმიერია, ორივე ძლიერ ფშვინვიერია). ბგერათჩანაცვლების ეს სახე (ე. ი. ჩანაცვლება უცხოურ სიტყვებში) არ ცვლის მსესხებელი ენის არც ბგერათსისტემას და არც მის ფონეტიკურ იერს. 2. მშობლიური ენის ერთი ბგერა ჩაენაცვლება ამავე ენის სხვა ბგერას სიტყვაში, რომელიც შესაძლებელია იყოს როგორც უცხოური (ბერძ. ტიმოთე>კიმოთე, სადაც ტ-ს ჩაენაცვლება კ), ისე მშობლიური; მაგ., დ-ს შეიძლება ჩაენაცვლოს დიალექტობრივ ტ. მაგ., სიტყვაში **რამდენი > რამტენი** (ახვლედიანი 1999: 228- 229).

შიდაქართლურში უმთავრესად მონაცვლეობენ წარმოების ადგილისა თუ რაგვარობის მიხედვით ახლობელი თანხმომონაცვლებები (აკუსტიკურად ერთი რიგის) სახელებში, ზმნებში, ზმნისართებში, თანდებულებში, კავშირებსა და ნაწილაკებში (უმეტესად თანხმომონაცვლებები).

ხშირად ურთიერთმონაცვლეობენ ბაგისმიერი ბგერები:

ვამ: წუხელის **მარსკვლავი** მომწყდა (გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე 1961: 282).

გადათომლა უცეფა (დირბი); თუ ქარი ამოუვარდა, **თომლს** წამოიღებს (ტახტისძირი); დაუყენებია ჩემტელა **ულმაშები** (დვანი).

მავ: **სიმაფრი** აცხოვრებს მაგასა (არადეთი); **მწყევსობით** არჩენს ოჯახსა (ბრეთი).

მავ: **ბრუდეს** იმიტომ ვუძახდით, რო ხვნი [ს] დროს კვალსა ვერ ავლებდა სწორათა (ტახტისძირი).

ვაზ: თავდაუზარცხელი დახეტიალობს უგანრიგოთა (ბრეთი); **საზარცხელი** გადაუგდო იმ ჯადოქარსა. **ზარცხნა, დაზარცხნა, საზარცხალი** ჩვეულებრივია ქართლისათვის (თოფურია 1925: 137). მსგავსი შემთხვევები დასტურდება ქართული ენის სხვა დიალექტებშიც (იმნაიშვილი 1974 : 158; ძოწენიძე 1973: 116; ფუტყარაძე 2016 : 50,178).

ზავ: ახლოვლები ყან (ბრეთი); ხარივითა **ეზმევა** უღელშია (დირბი).

ზაფ: დაიარება **შაფათობითა** (სალოლაშენი); არ ჩამოივლი **ორშაფათსა?** (დირბი).

ფაზ თავს **გააყობინებს** აიქა (დირბი); კასას მეხუმრება, დამაცადოს, **ამოგაყობინებ** იქა (დვანი).

ზაპ: მაგასა ტვინი აქ **დაპნეული** (სალოლაშენი); რაც დაუტოვეს, **გააპნია** სულა (დვანი).

გვხვდება გამონაკლისიც: **ზ** წყვილზაგისმიერ ბგერასთან მონაცვლეობს რბილსასისმიერი **გ (ზაგ):** რას **ეუგნევი** მაგასა. მსგავსი მოვლენა დადასტურებულია კახურშიც (მარტიროსოვი, იმნაიშვილი 1956:44).

წინაენისმიერი ბგერებიდან მონაცვლეობს **დატ** ან **დათ** : რამტელი ხანი არისო? ...ერთი ამოტენა გოგოა ...; რამტელი არიან? იმთელი უნდა ვადულოთ ისა, რო ნახევარზე დადგეს (კახაძე, 1953: 282).

ამტელა თავი რისთვის აზია (დირბი).

ნაზალი (ცხვირისმიერი) ბგერები (**მ-ნ**) მონაცვლეობს კომპლექსებში: **მდ-ნდ:** არც კი გამიგია, **რანდენი** ხანი გასულა (ბრეთი); **ბოლონდი** ვერ გაატანა კაიკაცობა... ამ **დრონდი** დაიგვიანეს... (ბრეთი).

მწ-ნწ: წწიფე პამიდვრის გემოი, ჩამყვა პირშია (დირბი); **მკ-ნკ:** ნკვახე ლაპარაკი იცის; **დანკრაზული** აქ ლოყები ვაზის ტევნებივითა (დვანი); **მტ-ნტ:** ისე ცეკვაავდა ჟულეს გოგოი, სულ **ინტერეოდა** წელში (დირბი); **მს-ნს:** მოხედე, ვედრა, **გაინსო** (დირბი); **მლ-ნლ:** უნდერებს ბაიათებსა (სალოლაშენი); **მხ-ნხ:** წავიდა **ნხიარულობა**, დაუკათ (დირბი); **შეანხანაგდნენ** ეს ბიჭი და დევი (დირბი); **ანხანაგები** გახდნენ (სალოლაშენი); **მთ-ნთ:** **საზანთრო** მოდის კაი (დვანი); **ზანთარი** რო მოგადგება კარსა, რა უნა ქნა (ტახტისძირი); ახალ **ნთვარეზე** იცის ეს ამბავი (დვანი); **დაანთავრა** სასწავლებელი და დაჯდა სახლში (დირბი); **მჯ-ნჯ:** **სანჯერ** აუტან მუშასა სანხარსა (ტახტისძირი); **იმ-ინ:** **ინ** დღეს ველარ გნახვით; **ინ** კაცმა ვერა თქვა რა... (დლონტი 1980: 220); **ინ** წინეებზე ვნახეი (დირბი). იმნაირის ნაცვლად გვხვდება: **ინნაირად. მაგ., ინნაირად** წაუვიდა საქმე, რო სულ გაყიდა ქონება. ზოგჯერ გვხვდება **ინაირად** ფორმაც (მ-ნ-ს დაკარგვით): **ინაირად** აწყო ცხოვრება, ყველა დანატრიდა. **ამ-ან:** **მუდან** დღე არი პური; **აქანდის** ვიცოდი; **არანც** და **არანც** არ გაულო კარი; **ანნაირია** ცხოვრება. ზოგჯერ ბგერის დაკარგვას აქვს ადგილი და ისმის ერთი ბგერა (ანაირია): **ანაირი** დაუნახავი არსად შემხვედრია (არადეთი). **ომ-ონ:** **იმიტონ** იცის ასე; **მაგიტონ** არ მითქვია, გეწყინოს (დვანი).

უმ-უნ: **ბუნბული** აქვს ბატსა კარქი... (სალოლაშენი); დავსხდებოდით ქალები და გავარჩევდით ბატის, ქათმის **ბუნბულსა** (ტახტისძირი); **რუნბივით** დაუსივა თვალები (დვანი).

დმ-ნტ: ერთი ავანტყოფი ყვანდა იმ ექიმს (გიგინეიშვილი და სხვ. 1961: 278).

მდ-მტ: იყო **რამტენიძე** წელიწადი ეგრე ბრმა (გიგინეიშვილი და სხვ. 1961: 278).

-მდე//-მდინ//-მდის თანდებული ვითარებითის გავრცობილ ფორმებში ყოველთვის გამოითქმის ასე: - **ა-ნდე//ა+-ანდინ//+ -ა + ნდის.** ეს შეიძლება იმით აიხსნას, რომ დირბულში მდ კომპლექსი ჩვეულებრივ ნდ'-ს გვამღევს: რამდენი>რანდენი, შემდეგ>შენდექ. დირბულთან ერთად ეს მოვლენა დასტურდება ფრონეს ხეობის სხვა სოფლებშიც (დლონტი 1980: 220-223; კობერიძე 2011 : 165).

მსგავსი შემთხვევები დამახასიათებელია მესხურ - ჯავახურისთვის. სამეცნიერო ლიტერატურაში ნარისა და მანის მონაცვლეობასთან დაკავშირებით აღნიშნულია: „ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ჯავახური მეტყველება ისწრაფვის თითქმის ყოველ სიტყვაში, რომელშიც მანი იხმარება, შეცვალოს ნარით, თუ სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობა არ ბნელდება (ზოგჯერ არც ამას ერიდება. მაგალითად, „გუდანაკიდე“, „ანყოლი“...) (ძიმიგური 1954: 140-141; ბერიძე 1988: 52).

თავისებურებით გამოირჩევა სოფელ დირბის მეტყველება, სადაც ბევრი გვარი გადმოსახლებულია მესხეთ - ჯავახეთიდან. სწორედ მესხურ-ჯავახურის გავლენით უნდა იყოს მონაცვლეობის ისეთი შემთხვევები, სადაც გვაქვს ჯერ ვ -ს მ-თი შენაცვლება, ხოლო შემდეგ ამ გზით მიღებული ნ-თი შენაცვლება (ავ→ამ→ან; ევ→ემ→ენ; ოვ→ომ→ონ). თუ ადრე ეს შემთხვევები მხოლოდ დირბული მეტყველების სპეციფიკას წარმოადგენდა, დღეს ჩვეულებრივ დამახასიათებელი მოვლენაა დირბის მახლობელი სოფლებისთვისაც (სალოლაშენი, არადეთი, წვერი, ბრეთი, ტახტისძირი, დვანი).

~დიალექტთა ურთიერთზეგავლენისა და ფორმათა უნიფიკაციის თავალსაზრისით საინტერესოა აწმყოს თემის ნიშანთა მონაცვლეობის საკითხი. იმერულის მოსაზღვრე ქართლის სოფლებში იგრძნობა გაერფეროვნებისაკენ მიდრეკილება, რაც განსაკუთრებით შეინიშნება თანხმოვნით ელემენტებში, -ავ, -ევ, -ოვ სუფიქსებს ენაცვლება -ამ, -ემ, -ომ (იმნაიშვილი 1974 : 84).

-ავ>-ამ: რკინის სახრეები უჭირამ მეხრეებს; შამოდგომაზე მოვკრეფამთ (გიგინეიშვილი და სხვ. 1961: 283,285). დახუჭამ და ვერ ხედამ (ხცისი); მამყამდა ქალი ლამაზი, მამყამდა, მამიხაროდა ; ხმალ დაჰკრამს კლდესა; ვირი დაჰყამდა ტყეშია და შეშა მოქონდა, იმასა ყიდამდა... (მარტიროსოვი 1939: 216).

იგივე -ავ ხშირად შეცვლილია -ან-ად (ავ>ამ>ან): აჰმენდა ცოლ-შვილსა; მაგის შენ კერანს რა უთხრა... (დვანი); არ ვიტყვი, რომ მამა მყანდაო და არც თქვა, რო შვილი მყანდაო; ერთმა თქვა, აბა, მე გავიხედან და დავინახან, თუ სად არისო... შენ არ იყა, რო წაეყვანე არწივსა და ფრთებ ქვეშ ყანდიო (მარტიროსოვი 1939 : 2016); დეეცემი, მერე ნახან შენა ; ჩემ შვილზე იძახის: ისეთი გლახა ყანს თამილასა, ჩვენ თუ ეგეთი გლახა გყვან ... ხედვითა კარგათა ვხედან; რასა ხატან ნან, რა კარგათა ხატან (დირბი); რთვილს რო გააგდებს, კაკალს მაშინ ჩამოვბერტყანთ (ტახტისძირი);

-ევ>-ემ: ამ საქმეს ისევ წამოწმდენ; კარგს ვაჰმემდით და კარგს ვასმემდით (დირბი). გვაქვს უფრო შორს წასული მონაცვლეობაც (შუალობითი). ევ>ემ>ენ: ავად არის წენს; გუბაზი გაზეთს ხენდა; მაშითვე მოიწვენს კრებას; ქალი არ მოსდენდა სახში; ფულს არ მოგცენდენ; სხვას ვაძლენდით საქმელს; ფასები იწენდა დაბლა; კილო სიმინდათ ვაძლენდით; ეგენი ვისმეს რასმე მისცენდენ (ლლონტი 1980: 222).

-ოვ>-ომ: რაც თავი მახსომს; ხბო წომდა. გვხვდება -ონ -იც (ოვ>ომ>ონ) ერთხელ მახსონს გამხთარი იყო; ძუძუს კი წონდა; მამა არ ათხონდა (ლლონტი 1980: 222).

ამ>ან: მე არ დამისხანს მმარი; ყუთში ჩასვანს შვილსა; კაკალი ბევრს ისხანდა; თბილ წყალსა სვანდენ; ხმელ ლობიოს ჩავადგან (ლლონტი 1980: 221); --ჯიგა, მოიხედე, მე უნდა წავიდე და საჰმელსა დაუსხან?; ის არ შეჰანს; ტელეფონი გაქანებული რეკანს (დირბი); ბავში ვაშლს სჰანდა (ტახტისძირი); არა ვსვანთ იმ ჰის წყალსა (დირბი); ციცო, ნაკედლარებზე რასა თესან (დირბი)

ქართლურში უთემისნიშნო ზმნები (ვგრეხ, ვწყვეტ, ვრეკ, ვდრეკ, ვწერ..) პირველი სერიის მწკრივებში გვხვდება თემის ნიშნით. აქაც -ავ>ამ ნიშანს ენაცვლება -ან (ავ>ამ>ან). მაგ.: გარეთ ისეთი ქარია, გლეჯანს ყველაფერსა (დირბი); დაჯდები და წერან, წერან, რას წერან ამდენსა (ტახტისძირი); დიდ ქონები პატრონები იყვენ, აუარებელ ცხვარს კრეჰანდენ (ტახტისძირი); მაწონსა ვარიანში ვდღვებანთ (დვანი); ყველა ჩვენა გყველეთანს (სალოლაშენი).

სამეცნიერო ლიტერატურაში ნაწილობრივ დაძეგნილია ის კანონზომიერება, რაც მანის ნართი შეცვლის ფონეტიკურ პროცესს ახლავს მესხურსა და ჯავახურში. 1. მონაცვლეობენ მხოლოდ მოქმედებითი და საშუალო გვარის ზმნების თემის ნიშნები. 2. - ავ, -ებ, -ობ სუფიქსები იცვლება -ამ//ან, -ემ//ენ, -ომ//ონ ბოლოსართებით: ა) -ამ//ან იხმარება აწმყოსა და მომავლის მწკრივებში.

ბ) -ემ//ენ იხმარება უწყვეტელისა და მისგან ნაწარმოებ მწკრივებში. -ებ ბოლოსართის შემცველი -ემ//ენ იხმარება აწმყოსა და მომავლის ფორმებში, თუ ზმნის ფუძე ერთმარცვლიანია (ვაქემ//ვაქენ); ვაკლებ//ვაკლენენ, იგემ//იგენს და არა: ვაქამ//ვაქან, ვაკლამ//ვაკლან (გამოკლების გაგებით).

გ) -ობ სუფიქსი აწმყოსა და მომავლის ფორმებში იცვლება -ომ//ონ ბოლოსართებით, მაგრამ უწყვეტელსა და მისგან ნაწარმოებ მწკრივებში არის პარალელური ფორმები -ემ//ენ ბოლოსართებით: ვაქემდი//ვაქენდი ტიპის ზმნებისა, რომელთაც II კავშირებითი ო-თი აქვთ ნაწარმოები (ვაქრობ-გავაქრო) (ბერიძე 1988:114).

ნ-სთან დაკავშირებულ პროცესებს დირბულთან ერთად იცნობს ფრონის მარჯვენა ნაპირის ზოგიერთი სხვა სოფლის მცხოვრებთა მეტყველებაც. ეს მოვლენა აღ. ღლონტს დადასტურებული აქვს ბორჯომის ხეობაშიც (ბორჯომი, კორტანეთი, ახალდაბა, ნეძვი (ღლონტი 1980: 223). მესხურთან დაკავშირებით შ. ძიძიგურს დამოწმებული აქვს ავ>ან: ხნანს, თესანს; ავ>ენ: ვხარშენდით, ვკეცენდი. ასევე მესხურში გვხვდება ებ//ობ>ნ//ონ: გაგიფუჭანს, აკეთანს. ამ პროცესის კერად მიაჩნია მას მესხური მიაჩნია (ძიძიგური 1954: 141-142).

ეს მოვლენა უფრო გავრცელებულია ქართლის დასავლეთ რაიონებში (ხაშურის რაიონში, სურამის მიდამოებში, ფრონის ხეობაში ...) (გიგინეიშვილი, 1939: 204). ატენის ხეობის ქართლურში არ დასტურდება (კახაძე, 1953: 281).

ხშირია ნარის შენაცვლება მანთან მიმდებარეობებში. მაგ.: ისეთი განხდარია, ისეთი რო.. (ტახტისძირი); ანდგარი რას აკეთებს, რომ დანჯდარმა გააკეთოს (დირბი); ანსობილი ოჯახი აქ (ბრეთი).

ფრონის ხეობის მეტყველებაში გვხვდება თანხმოვან ბგერათა კომპლექსებთან დაკავშირებული ბგერათშენაცვლების ის მაგალითები, რომლებიც მეტ-ნაკლებად დადასტურებულია ქართლურსა და ქართული ენის სხვა დიალექტებში. მაგალითად: შტ→სტ: ტასტი, მუსტარი, მუსტი, სტრაფი...სტ→შტ: შტრაფილი, შტვირი...სკ→შკ: ზაკუსკა, ქვეშენელი, ფაშკუნჯი..შკ→სკ: ჩასკა.. ჩკ/ჩქ: ანიჭკა, ვანიჭკა; კრ//ყრ: კრაზანა→ყრაზანა→ყაზარა: ყაზარების ნაკბენივით გაუსივდა თავ-პირი. რუსული-ский> ცკი- ბროცკი.... (იმნაიშვილი 1974: 161).

ამრიგად, ქართლურში დადასტურებული თანხმოვანთმონაცვლეობის შემთხვევები მსგავსია ქართული სალიტერატურო ენისა და სხვა დიალექტებისა. შიდა ქართლურში ხეობებისა და სოფლების მიხედვით შეინიშნება მეტ-ნაკლებად შგანსხვავებული ფორმებიც. ბგერათშენაცვლების ესა თუ ის სახეობა, რომელიც დასტურდება ქართლის ერთ კუთხეში, შეიძლება არ იყოს სხვა მხარეში ან მეტად იშვიათობას წარმოადგენდეს.

ვ-სა და მ-ს მონაცვლეობა ქართლურისათვის ჩვეულებრივი პროცესია, ვ-სა და ნ-ს მონაცვლეობა უჩვეულო. საანალიზო მაგალითებში ვ-ს ჯერ მ შენაცვლება, უკანასკნელს კი ნ (ვ>მ>ნ). თუ ადრე ეს შემთხვევა დირბულში დასტურდებოდა, დღეს ამ მოვლენას იცნობს დირბის მახლობელი სოფლები: სალოლაშენი, არადეთი, წვერი, ბრეთი, ტახტისძირი, დვანი...ფრონის ხეობის მეტყველებაში მეხურ-ჯავახურის გავლენითა და უნიფიკაციის ტენდენციით დამკვიდრებულია -ამ, -ემ, -ომ ზმნური სუფიქსებისა და ფუძისეული მ ელემენტის მონაცვლეობა ნართით.

დიალექტთა ურთიერთზეგავლენით უნდა აიხსნას იმერეთის მოსაზღვრე ქართლის სოფლებში -ავამ, -ევემ, -ოვომ სუფიქსების მონაცვლეობა.

გამოყენებული ლიტერატურა

ახვლედიანი 1999 : გიორგი ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბილისი: სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1999.

ბერიძე 1988 : გრიგოლ ბერიძე, ქართული ენის ჯავახური კილო, თბილისი: გამომცემლობა: „საბჭოთა საქართველო“, 1988.

გიგინეიშვილი და სხვ. 1961: ივანე გიგინეიშვილი, ვარლამ თოფურია, ივანე ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, ქართული ენის კილოთა მოკლე განხილვა. ტექსტები. ლექსიკონი, თბილისი, თბილისი: თსუ გამომცემლობა, 1961.

გიგინეიშვილი 1939 : ივანე გიგინეიშვილი, ანგარიში საზაფხულო მივლინებისა ფრონის ხეობაში 1938 წ.: აკად. ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის მოამბე, IV 3, ტფილისი: სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის გამომცემლობა, 1939.

თოფურია 1925 : ვარლამ თოფურია, ქართლური: არილი, ტფილისი, 1925.

იმნაიშვილი 1974 : გრიგოლ იმნაიშვილი, ქართლური დიალექტი, I, გამოკვლევა, თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1974.

კახაძე 1953 : ოტია კახაძე, ატენისა და წედისის ხეობის ქართლური: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, IV, თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1953.

კობერიძე 2011 : მარიამ კობერიძე, არქაიზმები და ინოვაციები ფრონეს ხეობის ქართლურში: გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის შრომების კრებული, #1, გორი, 2011.

მარტიროსოვი 1939 : არამ მარტიროსოვი, ანგარიში საზაფხულო მივლინებისა ფრონის ხეობაში 1938 წ.: აკად. ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის მოამბე, IV 3, ტფილისი: სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის გამომცემლობა, 1939.

მარტიროსოვი, იმნაიშვილი 1956 - არამ მარტიროსოვი, გრიგოლ იმნაიშვილი, ქართული ენის კახური დიალექტი, თბილისი: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1956.

ნებიერიძე 1991 : გივი ნებიერიძე, ენათმეცნიერების შესავალი, თბილისი: გამომცემლობა „განათლება“, 1991.

ფუტკარაძე 2016 : შუშანა ფუტკარაძე, ჩვენებურების ქართული, წიგნი მეორე, ბათუმი: გამომცემლობა „აჭარა“, 2016.

ღლონტი 1980 : ალექსანდრე ღლონტი, ნ-ს პროცესები დირბულში: ფილოლოგის ჩანაწერები, თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1980.

შანიძე 1980 : აკაკი შანიძე, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი II, თბილისი : თსუ გამომცემლობა, 1980.

ძიძიგური 1954 : შოთა ძიძიგური, ძიებანი ქართული დიალექტოლოგიიდან, თბილისი: სამეცნიერო - მეთოდური კაბინეტის გამომცემლობა, 1954.

ძოწენიბე 1973 : ქეთევან ძოწენიბე, ზემოიმერული კილოკავი, ენობრივი მიმოხილვა და ტექსტები, თბილისი: თსუ გამომცემლობა, 1973.